# ცნობის ფურცელი

წ. ვ. — ყოველ-დღიური გამოცემა. — ორშაბათი, 6 ნოემბერი 1900 წ. — № 1290

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღით).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели"—„Моамбе".**

**ტელეფონი № 372.**



დაიბეჭდა და იყიდება წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და წ.-კითხ. გამ. საზოგ. მაღაზიაში ვ. არაგვისპირელის

## პირველი წიგნი

ფასი ათი შაური

პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნი შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გადახდებათ მათ, ვინც ქართ. ამხ. კიოსკიდან დაიბარებს და წიგნის ღირებულ ფასს (ათ შაურს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

---

ტფილისის კერძო

## სამკურნალო

მკურნალის

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**გ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

**ნ. ა. მუღდინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

**ი. პ. ახალშენიშვილი** — კბილის სნეულებანი —10—2 საათამდე.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალის 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

**მ. გ. ბეზირგანოვი**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათამდე.

**გ. დ. მარკევიჩი** — სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, საშშაბათობით 3—4 საათამდე.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

**ა. ა. ბელოგოლოვი** — შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წლ.) **მიხეილ გედევანიშვილი.**

---

დაიბეჭდა და იყიდება დ. კლდიაშვილის მოთხრობა

## ქამუშაძის გაჭირვება

**ტფილისში:** წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში. **ქუთაისში:** ვ. ბეჟანიშვილის და ბათუმში—სპ. ქელიძის მაღაზიებში. (5—2)

---

ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

## მოწვეულია ახალი მკერვალი ქალი

**ვენის სამკერვალო აკადემიის დიპლომით.**

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.—ქართული კაბებისათვის ცალკეა მოწვეული მცოდნე მკერავი ქალი. (10—უ.—7)


---

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 5 ნოემბერს, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში მოხდა წლიური კრება ქართულ **დრამატიულ საზოგადოებისა.** კრებას წარედგინა საზოგადოების მოღვაწეობის ანგარიში, მოხსენება თეატრის იჯარით აღების შესახებ და ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლისა. ანგარიშის დამტკიცებამდე კრებამ დაადგინა, რომ შემდეგში დაბეჭდილი ანგარიშები კრების ორი კვირის წინ ურიგდებოდეს წევრთ, რათა შეიძლებოდეს უფრო დაახლოვებით გაცნობა გამგეობის მოღვაწეობისა. შემდეგ ანგარიში დამტკიცებულ იქმნა. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია თეატრის იჯარის შესახებ მოხსენებამ. ბოლოს კრებამ, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, დაადგინა: მოეთხოვოს თავად-აზნაურობის მომავალ კრებას ზარალის ზღვევა დრამატ. საზოგადოებისთვის. ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქმნა მცირეოდენ შეცვლის შემდეგ. ბოლოს მოხდა არჩევნები: 1) სარევიზიო კომისიისა და 2) საზოგადოების წევრთა. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნენ ქბ. მ. ი. დემურია, შიო დედაბრიშვილი და გ. ზ. ქურდიანი.

დაწვრილებითი ანგარიში ხვალ.

✦ რედაქციამ მიიღო მე-X ნომერი ჟურნალ „ჯეჯილისა" შემდეგის შინაარსით: 1) „მერცხალი და ბავშვი" (ლექსი) შ. მღვიმელისა; 2) „ლიზა" (ამბავი) ქეთო ზარაფიშვილისა; 3) „ძმურათ გაყოფა" (რუსულიდან) გ. ახალციხელისა; 4) „მტრედი" (ამბავი) კ. ფრონისპირელისა; 5) „პატარა გმირი" (თარგმანი) ან. წ—სა; 6) „ხალხური ლექსი" ჩაწერილი ა. ხაბულიანისაგან; 7) „ხარაბუზა და ჩხართვი" (თარგმანი) ბ. ვაშაძისა; 8) „მინდვრის თაგვები" (ამბავი) ან. წ—სა; 9) „ხარისთვის უდიერი" (ლექსი) ვაჟა-ფშაველასი; 10) „მოულოდნელი კავშირი" (სურათი) ელ. წერეთლისა; 11) „არდაში და ელიზბარი" (თარგმანი) ეკ. მესხისა; 12) „კოლბერი" (ბიოგრაფია) ან. წ—სა; 13) წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ზმა, ანაგრამა, ჩქარა გამოსათქმელი, შარადა, რებუსი და სხვა.

---

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**4 ნოემბერი**

**პეტერბურგი.** მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ავადმყოფობის ბიულლეტენი. „ლივადია, 4 ნოემბერი, დილის 11 საათზედ. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე კარგად გაატარა, დღისით ერთი საათი ეძინა. საღამოთი ტემპერატურა—$38,_1$, მაჯა 70. თავს კარგად ჰგრძნობს. ავადმყოფობის მიმდინარეობა ნორმალურია. ლეიბ-მედიკი გირში, საპატიო ლეიბ-მედიკი ლ. პოპოვი, ექიმი ტიხონოვი.

**ვაშინგტონი.** თუმცა ევროპაში გავრცელდა ის რწმენა, რომ ამერიკის ელჩი კონჯერი ხელს უშლის მოლაპარაკებასო, მაგრამ ნამდვილად-კი ის, მიღებულ ინსტრუქციის თანახმად, გულ-მოდგინედ მეცადინეობს საქმე რაც შეიძლება მალე დაბოლოვდეს. შეერთებულმა შტატებმა ბევრი მსხვერპლი მოუტანეს შეთანხმების საქმეს. მაგრამ დასამალავი აღარ არის, რომ აქ ვალდერზეეს საქციელი არ მოსწონთ. შეერთებული შტატები ვალდერზეეს საქციელში ჩინელთა დასჯის საქმეში ჰხედავენ ზომებს, რომლით ვითომ ვალდერზეეს ჰსურდეს ახალი არეულობა გამოიწვიოს. ამტკიცებენ, რომ ამერიკის მთავრობის მოქმედებას უფრო მგრძნობიერობის ხასიათი აქვს, ვიდრე საქმიანობისა, მაგრამ უმთავრესი მიზანი, რომლითაც იგი ხელმძღვანელობს, არის ჩინეთის ხელშეუხებლობა, ევროპიელების ზარალის ანაზღაურება და მომავალში მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველ ყოფა. ყველა ეს ადვილი მისახწევია დაურღვეველად შერიგების პირობებისა, რომელიც შეკრულ იქმნა სახელმწიფოთა და ლიხუნჩანგსა და ცინის შუა.

ჩინეთის გავლენიან წრეებიდან მოსული ცნობები ამტკიცებენ, რომ ამერიკის სახელი და გავლენა ჩინეთში არ შერყეულა იმით, რომ პაოტინფუში მან მონაწილეობა არ მიიღო, არამედ პირიქით იგი გაძლიერდა თავისის პოლიტიკის წყალობით.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭო. დელკასემ წაიკითხა დეპეშა, რომლიდან სჩანს, რომ ჩინეთში მყოფ ელჩებს შეუტყობინებიათ თავთავიანთ მთავრობებისათვის რამდენიმე მუხლი, რომლებიც მათ განზრახვა აქვთ დაუმატონ ექვს ძირითადს მუხლს მოლაპარაკებისას.

**დურბანი.** როგორც სტანდერტონიდან იტყობინებიან, იქაურ ოლქში მშვიდობიანობა ჯერ კიდევ არ დამყარებულა. მკვიდრი მცხოვრები ბურები უერთდებიან რაზმებს.

**პიტერმარიცბურგი.** ვრიგეიდში ინგლისის მეცხოვრე რაზმს ალყა შემოარტყეს. ქალაქი დაცარიელდა. მეცხოვრე რაზმმა უმთავრეს ახლო-მახლო გორებზე დაიჭირა პოზიციები. ექვსი თვის საგზალი აქვთ.

**პარიზი.** ტაკუდან 3 ნოემბერს გამოგზავნილი დეპეშა ვუარონისა

ამტკიცებს აღმოსავლეთით აკლდამის აღების და პაოტინფუში მაჰმადიანთა მარშლის ფანტაიას სიკვდილით დასჯის ამბავს.

შემდეგ დეპეშაში ნათქვამია, რომ პაოტინფუს ოლქში მშვიდობიანობაა, თუმცა აქა-იქ ჩანან „დიდი მუშტის“ მომხრენი. ხანკოუს რკინის გზის შეკეთების საქმე კარგად მიდის. სისუფთავე და ჯანმრთელობაა.

**შანჰაი.** ქვრივ დედოფალს განზრახვა აქვს დაბრუნდეს შანსის პროვინციის უმთავრეს ქალაქში ტაიუენფუში, რადგანაც კანსუში მაჰმადიანთა აჯანყება გავრცელდება.

**შანჰაი.** გერმანიის უმთავრესი კონსული წავიდა ნანკინში სამხედრო გემით; ნანკინში იმყოფებიან რუსეთის, ინგლისის და იაპონიის სამხედრო გემები. როგორც ამბობენ, პროტესტს გამოაცხადებენ იმის თაობაზე, რომ სინანფუში სანოვაგესა ჰგზავნიან.

**5 ნოემბერი**

**შანჰაი.** პრინცი ტუანი ამ ჟამად დაპატიმრებულია შანსის პროვინციის ქალაქ ნინხსში; იუხსენი დატუსაღებულია პეკინში სიანტუს ახლოს; ორივე აპირებდნენ გაქცევას.

**ჰონკონგი.** აქ მოსული ცნობებით კანტონში სამასი სახლი გადამწვარა.

**ბუხარესტი.** ჰოკვლისა და შეთქმულების შესახებ ბრალდებულთ უკვე ჩამოართვეს ჩვენება. წინააღმდეგ ბოლდანოვის უარყოფისა კარამბულოვი, როგორც ისმის, ამტკიცებს, ვითომ ბოსნიაკოვს და ბოლდანოვს უთქვამსთ მისთვის, რომ მეფის მოკვლა ადვილია, რადგანაც იგი უმალოდ დასეირნობს ხოლმეო. პრეზიდენტმა განაცხადა აგრეთვე, რომ ბოლდანოვმა უთხრა მას, ვითომც 1899 წლ. 6-ს დეკემბერს დასდევდნენ მეფეს.

რედაქტორი: **ალ. ჭყონია.** გამომცემელი: **ალ. ჯაბადარი.**

# გამოსადეგი ცნობანი

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი ტფილისის)

სწრაფი მატარებელი **№ 2 ტფილისიდან ბაქოში** გადის კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 მ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 მ.).

სწრაფი მატარებელი **№ 1 ბაქოდან ტფილისში** გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.).

საფოსტო მატარებელი **№ 3 ბაქოდან ტფილისში** გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.)

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბათუმში** გადის საღამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი **№ 5 ბაქოდან ტფილისში** გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილით 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბათუმში** გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი **№ 6 ბათუმიდან ტფილისში** გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბაქოში** გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საფოსტო მატარებელი **№ 4 ბათუმიდან ტფილისში** მიდის საღამოს 10 ს. 47 წ. (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბაქოში** გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 საათზე (7 ს. 58 წ.).

---

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუღურეთისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელიზაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონ ფონ ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 15 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---


# განცხადებანი

## წარსული წლების ჟურნალი

# მოამბე

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ შვიდ მან., 1896, 1897 და 1898 წ.წ.—ხუთ ხუთ მან, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის-მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.—ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნალ „მოამბის“ ფოსტის ხარჯად 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ.—ჟურნალ

# მოამბის

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію грузинск. журнала „Моамбе“.

---

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის და გიორგიევის ქუჩის კუთხეში, იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ისტორია, გეოგრაფია და მოგზაურობა

ალხაზიშვილი ილ. ბუნება და ცხოვრება. 60 კ.

ალნიაშვილი ვლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1 მ.

ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველის ტომის დასაწყისზე. 15 კ.

გოგებაშვილი ი. ასპინძის ომი 10 კ.

— თავდადებულნი ქართველნი, სურათებით. 10 კ.

ვახუშტი ბატონიშვილი. გეოგრაფია I წ. სამცხე 25 კ.

— იგ. II წ. ქართლი 25 კ.

ვოლდვოხოვი ე. ინგლისელები. 40 კ

— იტალიელები. 30 კ.

— გერმანელები. 30 კ.

თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა. 1 მ.

იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1 მ.

კუდრიავსკი დ. როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად. 25 კ.

ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 3 მ.

— იგივე წიგნი II. 3 მ.

ურბნელი ნ. მეგლის დები მეფე გიორგი ბრწყინვალისა. 25 კ.

— გიორგი ბრწყინვალე. 20 კ.

ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი. 40 კ.

— იგ. წიგნი მეორე. 1 მ.

— იგ. „ მესამე. 40 კ.

ჰიჰინაძე ზ. მეფე ერეკლეს და აღამაჰმადხანის ომი. 10 კ.

— მეფე ირაკლის გმირები. 15 კ.

ხახანაშვილი ალ. ბატონ-ყმობა საქართველოში. 50 კ.

— გურჯები. 50 კ.

---

ბენაშვილი ან. მოკლე ქართული გრამატიკა, უდით. 25 კ.

ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამატიკა. 1 მ. 20 კ.

---

ორბელიანი საბა-სულხან. ქართული ლექსიკონი. 3 მან.

ჰყონია ალ. ისტორიული ნარკვევი 1 მან. და 50 კაპ.

სახოკია თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. 20 კ.

---

ყიფიანი ვ. ალგებრა. 1 მ. 20 კ.

ჯაჯანაშვილი რ. კრებული ართმეტიკულის ამოცანებისა 25 კ.

სამეცნიერო წიგნები.

ბ. ს. შრომა და კაპიტალი. 20 კ.

გოლოვინი ს. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე. 10 კ.

გოგებაშვილი ი. მოსავლის მცველნი, სურათებით. 20 კ.

დედამიწის მოყვანილობა—10 კ.

ერისთავი დ. ხოლერა და მისი ასაცდენი დარიგებანი. 10 კ.

იოსელიანი გ. ლოღიკა. 15 კ.

ივანოვი ალ. ცა და დედამიწა. 20 კ.

ლენტის მსგავსი ჭიები 5 კ.

კომბი. ბავშვების მოვლა 40 კ.

მირიანაშვილი ალ. ჭვავი და მისი მნიშვნელობა. 15 კ.

მოწაფის ჭიგიენა 3 კ.

მასსე. ლუკმა პურის ამბავი 60 კ.

რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.

როსკო. პროფესორი. ქიმია 40 კ.

როგორ საზრდობს მცენარე, გადმოკეთებული. 25 კ.

სპერანსკი. ცუდი სენი, ანუ ათაშანგი. 5 კ.

ხუსკივაძე თ. შვილების აღზრდა, პედაგოგიური წერილები. 20 კ.

---

დარეჯანაშვილი არ. საბოსტნე მცენარეების მოყვანა. 20 კ.

ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება. 60 კ.

სახელმძღვანელო წიგნები:

ალნიაშვილი ვლ. «ბან», სალხური ლექსები. 10 კ.

— «გან», წვრილი ამბები. 10 კ.

— «დონ», წვრილი ამბები. 10 კ.

— «ვინ», პაწაწა მინერალოგია 15 კ.

— «ზენ», პაწაწა ბოტანიკა. 20 კ.

— «თან», პაწაწა ზოოლოგია. 20 კ.